

შპს რაგი პლიუსი (442736194)

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
საანგარიშგებო ვალუტა	6
უცხოური ვალუტა	6
ამონაგების აღიარება	7
სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	7
მოგების გადასახადი	7
ძირითადი საშუალებები	7
არამატერიალური აქტივები	8
აქტივების გაუფასურება	8
იჯარა	8
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
სავაჭრო ვალდებულებები	10
ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	10
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს რაგი პლიუსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024-ის თარიღისთვის

<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2024</u>
	<u>ლარი</u>
<u>აქტივები</u>	
ძირითადი საშუალებები	207.728
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>	<u>207.728</u>
სასაქონლო მარაგები	1.152.655
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	135.576
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	145.524
<u>სულ მოკლევადიანი აქტივები</u>	<u>1.433.755</u>
<u>სულ აქტივები</u>	<u>1.641.483</u>
<u>ვალდებულებები</u>	
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	258.959
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	156.580
საგადასახადო ვალდებულებები	6.084
<u>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</u>	<u>421.623</u>
<u>საკუთარი კაპიტალი</u>	
საწესდებო კაპიტალი	65.000
გაუნაწილებელი მოგება	1.154.860
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>	<u>1.219.860</u>
<u>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</u>	<u>1.641.483</u>

შპს რაგი პლიუსი

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2024 – 31.12.2024 პერიოდისთვის

<u>შენიშვნა</u>	<u>2024</u>
	<u>ლარი</u>
ამონაგები	5.919.128
ამონაგების თვითღირებულება	(4.841.752)
<u>საერთო მოგება</u>	<u>1.077.376</u>
ადმინისტრაციული ხარჯები	(205.051)
ფინანსური შემოსავალი	1.597
ცვეთა	(16.742)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(160.867)
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>	<u>696.313</u>
<u>წმინდა მოგება/ზარალი</u>	<u>696.313</u>

შპს რაგი პლიუსი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2024 – 31.12. 2024 პერიოდისთვის

	<u>საწესდებო გაუნაწილებელი სულ</u>		
	<u>კაპიტალი</u>	<u>მოგება</u>	<u>საკუთარი</u>
	<u>კაპიტალი</u>		
	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>
პერიოდის მოგება	-	543.151	543.151
კაპიტალის სხვა ცვლილება	65.000	-	65.000
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე	-	-	-
<u>ნაშთი - 31.12.2023</u>	<u>65.000</u>	<u>543.151</u>	<u>608.151</u>
პერიოდის მოგება	-	696.313	696.313
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე	-	(84.604)	(84.604)
<u>ნაშთი 31.12.2024</u>	<u>65.000</u>	<u>1.154.860</u>	<u>1.219.860</u>

შპს რაგი პლიუსი

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

რაგი პლიუსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15.02.2022), კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. წალკა, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 30ა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა.

- კომპანიის დირექტორი: თეონა ბერიძე (პ.ნ. 61004071292)
- კომპანიის მესაკუთრეები: თეონა ბერიძე (პ.ნ. 61004071292) – 100%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

4. უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველო ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით, სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, რომელიც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ ფულად სახსრებს, რომელიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	<u>31.12.2024</u>	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894	2.7020

ევრო/ლარი

2.9306

2.9753

2.8844

5. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

7. მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისათვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების გადანაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

10. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

11. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლობის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხული ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ, დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივ იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. სასაქონლო მატერიალური ფასულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივად საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

15. ბანკის სესხები და ოპერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

16. დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, ობიექტზე მომუშავე თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის. თანხის დამატებით გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

17. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები

შენობები, ოფისის აღჭურვილობა, დანადგარები,

<u>ავეჯი და სხვა ინვენტარი</u>	<u>სულ</u>
<u>წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023</u>	<u>33.552</u>
შემოსვლა 2024	190.918
ცვეთა პერიოდისათვის 2024	(16.742)
გასვლა 2024	-
<u>წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024</u>	<u>207.728</u>

სასაქონლო მარაგები

	<u>2024</u>	<u>2023</u>
	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>
გასაყიდი საქონელი	1.152.655	729.170
<u>სულ</u>	<u>1.152.655</u>	<u>729.170</u>

საჯაჭრო და სხვა მოთხოვნები

	<u>2024</u>	<u>2023</u>
	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან		
დაკავშირებული მოთხოვნა	135.576	10.798
გადახდილი ავანსები	-	-
<u>სულ</u>	<u>135.576</u>	<u>10.798</u>

საჯაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	<u>2024</u>	<u>2023</u>
	<u>ლარი</u>	<u>ლარი</u>
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	258.959	145.218
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	156.580	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	6.084	1.307
<u>სულ</u>	<u>421.623</u>	<u>146.525</u>

ამონაგები

	<u>2024</u>
	<u>ლარი</u>
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	5.919.128

სულ

5.919.128

ადმინისტრაციული ხარჯები

2024

ლარი

დასაქმებულთა ანაზღაურება	(205.051)
ცვეთა და ამორტიზაცია	(16.742)
იჯარის ხარჯი	(4.080)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(156.787)

სულ

(382.660)

არასაოპერაციო შემოსულობა/ხარჯი

2024

ლარი

წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	1.597
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-

სულ

1.597

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა.

შპს რაგი პლიუს-ის დირექტორი

თ. ზღ

თეონა ბერიძე